ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3739284

ნომერი: AR1560969

თარიღი : 28.11.2017

გაცემის თარიღი : 19.12.2017

გაცნობის თარიღი : 06.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი", მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე , ნაკვეთი 01/068 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N 1 , (ნაკვ.1/8) / ქალაქი თბილისი , შპს მუნიციპალური საწარმო , "თბილტრანსი"-ს N4 , ავტოპარკის ტერიტორიიდან / ქალაქი თბილისი , შეშელიძის ქუჩიდან მუხიანში გადასახვევ გზასთან, შპს "ლოგოსის" და "თბილტრანსის" ავტოპარკის ტერიტორიებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის

10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 28 ნოემბერს №AR1560969 განცხადებით მომართა მამუკა არევაძემ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრის" მიმდებარედ, მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე, ნაკვეთი 01/068, ხევძმარის ქუჩა N 1-ში , (ნაკვ.1/8) შპს მუნიციპალური საწარმო "თბილტრანსის" N4 , ავტოპარკის ტერიტორიიდან, შეშელიძის ქუჩიდან მუხიანში გადასახვევ გზასთან, შპს "ლოგოსის" და "თბილტრანსის" ავტოპარკის ტერიტორიებს შორის, შპს ,,მოდერნ ბიზნეს გრუპ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: №01.11.13.001.079), მრავალფუნქციური შენობის (საზოგადოებრივი დანიშნულების) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 10 ნოემბრიდან 2019 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს ,,მოდერნ ბიზნეს გრუპის'' (ს/კ: №400052036) ნაცვლად შპს ,,გემას'' ს/კ: №400212471 დაფიქსირებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს ,,მოდერნ ბიზნეს გრუპი'' (ს/კ: №400052036). საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: № 892017124109, მომზადების თარიღი: 2017 წლის 27 ნოემბერი, 15:05:48) თანახმად, მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.13.001.079) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,გემა'' (ს/კ:№400212471), ხოლო მის მიერ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირს წარმოადგენს მამუკა არევაძე, რომელიც სამსახურს მომართავს სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში დამკვეთის მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შპს ,,გემას'' (ს/კ:№400212471) გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში დამკვეთად შპს ,,მოდერნ ბიზნეს გრუპის'' (ს/კ: №400052036) ნაცვლად შპს ,,გემას'' ს/კ: №400212471 დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,გემა'' (ს/კ: №400212471);
2. სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3674061 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.